საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის

ბრძანება №28
2021 წლის 8 აპრილი

ქ. თბილისი

,,კერძო დაცვითი საქმიანობის ლიცენზიის მოწმობის ფორმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2009 წლის 29 იანვრის №104 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 13 დეკემბრის №337 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ნ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„კერძო დაცვითი საქმიანობის ლიცენზიის მოწმობის ფორმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2009 წლის 29 იანვრის №104 ბრძანებაში (სსმ III, №11, 30/01/2009, 140.130.000.22.034.012.711) შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული კერძო დაცვითი საქმიანობის ლიცენზიის მოწმობის ფორმა ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი — **ვახტანგ გომელაური**